თამარ როსტიაშვილი, თეონა აბულაძე

მცირე და საშუალო ბიზნესის ანალიზი და მისი განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა საქართველოში.

რეზიუმე

მცირე და საშუალო ბიზნესი (მსბ) / მცირე და საშუალო ზომის საწარმოები(მსს) ტრადიციულად განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის სიძლიერეს და წარმოადგენენ სამუშაო ადგილების შექმნის ძირითად წყაროს.

ზოგადი შეხედულებებით საქართველოში და არა მარტო საქართველოში მიაჩნიათ, რომ მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმ პოტენციალის გათვალისწინებით, რომელიც ამ საწარმოებს გააჩნიათ ქვეყნის წინაშე მდგომი ორი ძირითადი პრობლემის, უმუშევრობისა და სიღარიბის, გადაჭრის თვალსაზრისით.

XX საუკუნის 80-იანებიდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თითქმის ყველა დარგში დაიწყო მცირე და საშუალო საწარმოების სექტორების სწრაფი ზრდა, რომელიც სწრაფი ეტაპებით ვითარდებოდა წლების განმავლობაში და უკვე 2000-იანი წლებში ამ საწარმოებში იყო დასაქმებულთა საერთო რიცხვის დაახლოებით 60-70% და იქმნება ევროკავშირის მშპ-ს 65 %-მდე. ევროკავშირის გამოცდილებამ აჩვენა, რომ მცირე მეწარმეობა ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს განვითარებას, წარმოების მოცულობის ზრდა, საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის გაფართოებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

მცირე და საშუალო ბიზნესი, ეს არის ის კერძო მცირე ბიზნესები, რომელიც საჭიროებს განვითარებას და სწორი მიმართულებების დასახვას. საჭიროებს გამოცდილი კადრების მიერ სწორ დაგეგმარებას, და დაფინანსებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მარტივი გზებით მოძიებას.

თამარ როსტიაშვილი - Tamar Rostiashvili
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - Georgian Technical University
პროფესორი - Professor

თეონა აბულაძე - Teona Abuladze
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - Georgian Technical University
თიბისი ბანკი, ფილიალის დირექტორი - TBC Bank, Branch Director
დოქტორანტი - Doctoral student

საკვანძო სიტყვები:
ბიზნესი, ეკონომიკური სისტემა, უმუშევრობა, საწარმო, მეწარმეობა, პროდუქცია, საბაზრო სისტემა, შრომითი რესურსები, ფაქტორები, საბაზრო ეკონომიკა.

ძირითადი ტექსტი:

„ბიზნესი“ (Business) - ინგლისური სიტყვა - ითარგმნება, როგორც ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა მოგების მიღების მიზნით. ბიზნესს გააჩნია მრავალფეროვანი ფუნქციები,რაც განაპირობებს მის დიდ მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადიებისთვის. მოგების მიღების გარდა ბიზნესი ქმნის მატერიალურ, ფინანსურ და სულიერ დოვლათს მთელი საზოგადოებისთვის. ამცირებს უმუშევრობას და ამაღლებს დასაქმების დონეს. ამ კუთხით ის ასევე ქმნის პირობებს წარმატებული კარიერის შექმნისა და შეძლებული საშუალო ფენის ჩამოყალიბებისათვის.

ბიზნესი, როგორც ეკონომიკის შემოქმედი, უშუალოდ მონაწილეობს ეროვნული საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებაში, და საგადასახადო სისტემის მეშვეობით იგი ხელს უწყობს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობასა თუ განვითარებაში.

ბიზნესი ქმნის ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის გარანტიას, ხოლო გლობალურად გააზრებული ბიზნესი ხელს უწყობს საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციას და განსხვავებული კულტურის მქონე ერების დაახლოებას. ბიზნესისთვის ასევე მნიშვნელოვანია მიზანი იყოს ზუსტი, ცხადი და მკაფიო ხასიათის. შესაძლებელი იყოს მიზნის რაოდენობრივი გაზომვა და მიღწევის რეალური შესაძლებლობა და მიღწევადობისთვის საჭირო დროითი პარამეტრების (გრძელვადიანი, საშუალოვადიანი, მოკლევადიანი მიზნები) მითითება.

ბიზნესის სახეობები არის: მიკრო, მცირე და საშუალო და მსხვილი ბიზნესები. საიდანაც ყველაზე განსაკუთრებული ნაწილი არის მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც შორეულ წარსულში იღებს სათავეებს. და ჩვენი სტატიაც მასზე არის დათმობილი.

მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ურთიერთობათა სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და თავისი უპირატესობების გამო მრავალი სახელმწიფოს ეკონომიკის საფუძველს წარმაოდგენს. ის მარტივად ადაპტირებს გარემო-ფაქტორების ცვლილებების მიმართ. მსხვილ საწარმოებთან შედარებით ძალიან მობილურია და შეუძლია ფეხი აუწყოს ბაზრის მოთხოვნებს.

საერთაშორისო ლიტერატურაში მცირე და საშუალო ბიზნესის შემდეგი აბრევიატურები გვხვდება SME (small and medium enterprises), or SMB (small and medium businesses), და ეს ჯგუფი გამოიყოფა დასაქმებულთა ლიმიტების მიხედვით[1]. მცირე და საშუალო ბიზნესს მრავალი უპირატესობა გააჩნია, საიდანაც გამოვყოფდი: (1) შრომითი რესურსების დასაქმების ფართო შესაძლებლობებს (ყალიბდება ე.წ. „საშუალო ფენა“); (2) მოქნილობას და ოპერატიულობას; (3) ადგილობრივი (არაიმპორტული) რესურსების გამოყენების შესაძლებლობას და მცირე კაპიტალს; (4) ეკონომიკური სიახლეების დანერგვის მეტ შესაძლებლობას ; და (5) საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებზე სწრაფი ადაპტაციის უნარს;

ზემოთ აღწერილი უპირატესობებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესი თითქმის მთელს მსოფლიოში სარგებლობს სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, რაც გამოიხატება სხვადასხვა შეღავათებით.

XX საუკუნის 60-იან წლებამდე მცირე და საშუალო ბიზნესი, წვრილი მეწარმეობა ეკონომიკის ერთ-ერთ უპერსპექტივო და სუსტად განვითარებულ სექტორად ითვლებოდა. დღევანდელ მსოფლიოში, რაც თანამედროვე გამოცდილებამ გვაჩვენა საბაზრო ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირების ძირითადი პირობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაა. ამ სფეროში იწარმოება და რეალიზდება დიდი მოცულობის როგორც საწარმოო დანიშნულების, ისე ფართო მოხმარების მრავალფეროვანი პროდუქცია. სრულდება სხვადასხვა სახის მომსახურებასთან დაკავშირებული სამუშაოები და ა.შ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროშია დასაქმებული მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი.

ეს ყველაფერი კარგად ჩანს ქვევით მოცემულ ცხრილებში:

ცხრილი №1 - ზოგადი მონაცემები მცირე და საშუალო ბიზნესზე (ევროკავშირის ქვეყნებში):

ევროკავშირის ქვეყნები	მცირე და საშუალო საწარმოთ რაოდენ (%)	დასაქმებული მცირე და საშუალო საწარმოებში (%)	ამ საწარმოებში შექმნილი დამატებული ღირებულება (%)
გერმანია	99.5	60.1	53.2
საფრანგეთი	99.8	61.4	48.8
ჩეხეთი	99.7	68.2	55.4
ესტონეთი	99.6	78.4	74.9
ევროკავშირის 26 ქვეყნის საშ. მაჩვენებელი	99.8	67.1	57.9

1 https://en.wikipedia.org/wiki/Small_and_medium-sized_enterprises

ცხრილი №2 - ევროპული საწარმოების გრადაცია (2005 წლიდან) მათი სიდიდის მიხედვით:[2]

საწარმოს სახეობა	დასაქმებულთ რაოდენობა	წლიური შემოსავალი
საშუალო	50 - 249	50 მლნ. ევრო
მცირე	10 - 49	>= 10 მლნ. ევრო
მიკრო	>= 9	>= მლნ. ევრო

მცირე საწარმოები ფუქციონალურად შეიძლება დავახასიათოდ რამოდენიმე პუნქტით:

- საქმიანობას ეწევიან მეურნეობის პრაქტიკულად ყველა სფეროში;
- დამოუკიდებელნი არიან სამეურნეო საქმიანობაში და მოგების განაწილებაში საგადასახადო ვალდებულებების დაფარვის შემდეგ; ასევე დამოუკიდებლად გეგმავენ თავიანთ საქმიანობას;
- განსაზღვრავენ ფირმის პერსპექტიულ საქმიანობას პროდუქციის მოთხოვნილებების შესაბამისად, მოგების ზრდის მიზნით;
- დამოუკიდებლად დებენ ხელშეკრულებებს პროდუქციის მიმწოდებლებთან და პროდუქციის მომხმარებლებთან.

მსბ-ს ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალს უწოდებენ დღევანდელ მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ე.წ. „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მაღალი დონის გამო ოფიციალური სტატისტიკა სრულად ვერ აფიქსირებს ამ ტიპის მეწარმეობიდან შემოსავალს, მცირე და საშუალო ბიზნესს ჩვენს ქვეყანაშიც სერიოზული შემოსავლები მოაქვს და ქვეყანაში უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, მაინც ახერხებს მოსახლეობა არსებობას, ესეც ამ ტიპის ბიზნესის დამსახურებაა.

ასევე ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში საკამოდ მაღალია უმუშევრობის დონე, თუმცა მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ოფიციალურად უმუშევრად ითვლება, მცირე ბიზნესშია დასაქმებული. ამ შემთხვევაში, ფარული უმუშევრობის გარდა ადგილი აქვს ფარულ დასაქმებას, რომელიც არც დაბეგვრას ექვემდებარება და არც ოფიციალურ ანგარიშებში ხვდება.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, უმუშევრობის დონე საქართველოში ძალზე მაღალია (ცხრ. 3), აღსანიშნავია აგრეთვე თვითდასაქმებულების საკმაოდ დიდი რაოდენობა (დასაქმებული მოსახლეობის 63,4%)[3], რომელთა შემოსავლები ხშირად საარსებო მინიმუმზე დაბალია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესს საქართველოსათვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ხელისუფლება ბევრს საუბრობს ამ ტიპის მეწარმეობის მხარდაჭერაზე და მათთვის ნორმალური სამეწარმეო გარემოს შექმნაზე, ამის სხვადასხვა პროექტებია, როგორც წარმოებისთვის, ასევე სოფლის მეურნეობისთვის და ინოვაციური პროდუქტებისთვის.

დასაქმება და უმუშევრობა ცხრილი **3**

ათასი კაცი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ეკონ.-ად აქტიური მოსახლ. (სამუშაო ძალა),	1,965.3	1,917.8	1,991.8	1,944.9	1,959.3	2,029.1	2,003.9	1,991.1	2,021.5	1,998.3
დასაქმებული	1,704.3	1,601.9	1,656.1	1,628.1	1,664.2	1,724.0	1,712.1	1,745.2	1,779.9	1,763.3
უმუშევარი	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1	291.8	246.0	241.6	235.1
უმუშევრობის დონე, (%)	13.3%	16.5%	16.9%	16.3%	15.1%	15.0%	14.6%	12.4%	12.0%	11.8%

2 ec.europa: eu/research/sme-techweb/pdf/sme-definition_en.pdf

3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2018, www.geostat.ge

ცხრილი №4: - საქართველოს საწარმოების გრადაცია (2018 წლის მონაცემი) და დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით:[4]

საწარმოს სახეობა	დასაქმებულთ რაოდენობა	წლიური შემოსავალი
მსხვილი	< 249	60 მლნ ლარი
საშუალო	50 - 249	12 მლნ ლარი
მცირე	>50	> 12 მლნ ლარი

დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით

წელი და კვარტალი		სულ	მათ შორის:					მსბ-ში
			მსხვილი	საშუალო		მცირე		
		კაცი						
		1	2	3		4		
2006	...	360,987	114,471	99,592	28%	146,924	41%	**68%**
2007	...	361,209	116,256	109,151	30%	135,801	38%	**68%**
2008	...	349,250	123,186	104,716	30%	121,348	35%	**65%**
2009	...	387,463	129,686	106,346	27%	151,430	39%	**67%**
2010	...	397,806	131,867	104,274	26%	161,665	41%	**67%**
2011	...	503,236	153,243	118,688	24%	231,305	46%	**70%**
2012	...	534,397	169,444	118,022	22%	246,931	46%	**68%**
2013	...	550,885	178,422	125,925	23%	246,538	45%	**68%**
2014	...	592,147	186,510	126,432	21%	279,205	47%	**69%**
2015	...	626,739	198,586	137,171	22%	290,982	46%	**68%**
2016	...	666,790	217,800	142,447	21%	306,543	46%	**67%**
2017	I	604,984	218,018	133,482	22%	253,484	42%	**64%**
	II	631,316	230,561	142,218	23%	258,537	41%	**63%**
	III	643,923	230,985	142,925	22%	270,013	42%	**64%**
	IV	660,059	235,742	147,624	22%	276,693	42%	**64%**

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოქმის 3 ძირითადი ფაქტორი არსებობს და საქართველოში ამ კუთხით შემდეგი სიტუაცია გვაქვს:

პირველი ჯგუფი არის ის მცირე ბიზნესები, რომლებიც იქმნებიან სოციალურად-ეკონომიკურად აქტიური და შემოქმედებითი მოაზროვნე ადამიანების ინიციატივითა და წამოწყებით, ამის ძალიან ბევრი მაგალითი გვაქვს დღევანდელ რეალობაში.

მეორე ჯგუფი არის მცირე და საშუალო ბიზნესის ის ჯგუფი, რომელიც მსხვილი კორპორაციების მოთხოვნით იქმნებიან და ითვალისწინებს მსხვილი სტრუქტურების ეფექტიანობის ამაღლებას.

ამ ბიზნესის დამფუძნებლები ძირითადად მსხვილი კორპორაციის თანამშრომლები ან მათი ლობით შექმნილი კომპანიებია. კომპანიები რომლებიც მათთვის ნედლეულს ქმნიან, ან სხვადასხვა მომსახურებას უწევენ; ისინი მსხვილი კომპანიების კონტრაქტორებად ითვლებიან და აქედან გამომდინარე მათი „პულსით“ არსებობენ.

მესამე ჯგუფი მსბ-სა არის სახელმწიფოს ან სხვადასხვა საზოგადოებრივი ფონდების მხარდაჭერის საფუძველზე მცირე და საშუალო საწარმოთა წარმოქმნა და ფუნქციონირება,რაც უპირველესად ნაკარნახევია დემოკრატიზაციის აუცილებლობით.

დღევანდელი საქართველოს რეალობაში მცირე და საშუალო ბიზნესის დაარსება

4 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2018, www.geostat.ge

ძალიან გამარტივებული პროცესია, ბიუროკრატიის ბარიერები მოხსნილია და სულ რაღაც რამოდენიმე საათის პროცედურით და ერთ სივრცეში შეგიძლია კომპანია დააარსო და იყო მზადყოფნაში ფუნქციონირებისთვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის არსებობა ერთ-ერთი უმთავრესია თანამედროვე მსოფლიოში, და ამ ჯგუფს ძალიან დიდი წვლილი აქვს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში ინოვაციურ პროექტების წარმოქმნაში და კონკურენციის შექმნაში.[5]

საქართველოს განვითრებისთვისაც მამოძრავებელი ჯგუფიც მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა იყოს, და ამიტომ ხელშეწყობის პოლიტიკა მნიშვნელოვანია, ამისათვის განხორციელებული ქმედებებიდან შეიძლება გამოვყოთ, რამოდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტათ:

საკანონმდებლო და რეგულაციური გარემო - ბოლო 15 წელიწადში საქართველომ დიდ პროგრესს მიაღწია მოძველებული კანონმდებლობის განახლებაში. ბიზნესების რეგისტრაციისა და საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებულ პროცედურები მნიშვნელოვნად იქნა გამარტივებული. ასევე მიმდინარე საქმიანობის პროცედურები გამარტივდა, საგადასახადო დეკლარაციების ონლაინ სისტემაზე გადასვლით. სადაც ასევე ბევრი ღია და უფასო სემინარები ტარდება კომპანიებისთვის.

დამატებით სასურველია ცალკეულად გამოიყოს მსბ დარგი და მათთვის საჭიროა:

- მიღებული იქნას კანონი მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ
- შემუშავებული და დამტკიცებული იქნას მსბ განვითარების სტრატეგია (მსბ-ის განვითარების ფრაგმენტული მოსაზრებები გვხვდება 2010-17 წლებში საქართველოს რეგიონალური განვითარების სტრატეგიაში, რომელიც მთავრობის მიერ მიღებული იქნა 2010 წელს)
- შეიქმნას მცირე ბიზნესის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და ტაქტიკური ხასიათის ამოცანების რეალიზებას. უნდა შეძლონ მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარის გაერთიანება და მათი საქმიანობის კოორდინაცია.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა მათი ბიზნესის ინტრნაციონალიზაციის საშუალებით - რისთვისაც უპირველეს ყოვლისა უნდა შევისწავლოთ, თუ რა წარმოადგენს ქართული მსბ-ის საერთაშორისო ბაზრებზე ოპერირების კუთხით დამაბრკოლებელ გარემოებებს.

- მთავრობამ გაატაროს ეფექტური პოლიტიკა, რაც გულისხმობს სწრაფად ზრდადი მსბ-ის ინტერნაციონალიზაციის საჭიროებაში გათვიცნობიერების ხელშეწყობას.
- მთავრობამ შეიმუშაოს სპეციალური პოლიტიკა და მოქმედებათა გეგმა, რომელიც საწარმოებს ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ამოცანის შესრულებას გაუიოლებს.

მსბ-ის დახმარება და წახალისება, რათა მათ ისარგებელონ ბაზრების ზრდით;

დაფინანსების წყაროების გაუმჯობესება და იაფი რესურსების ხელშემწყობი პროგრამების განვითრება - 2008 წლის აგვისტოს ომისა და გლობალური საფინანსო კრიზისის ფონზე მსბ-ს განსაკუთრებით გაურთულდათ ფინანსებისადმი ხელმისაწვდომობა.

2010 წელს მთავრობამ უკვე ჩამოაყალიბა ე.წ. „საპარტნიორო ფონდი", რომელიც დააფინანსებს პროექტებს სხვადსხვა სექტორებში. თუმცა პროექტების მასშტაბებიდან გამომდინარე აღნიშნული ფონდი პარტნიორობას განახორციელებს მხოლოდ მსხვილ საწარმოებთან და იგი მსბ-ის ხელშემწყობ ფაქტორად ვერ მოგვევლინება. შესაბამისად, საჭიროა ინდივიდუალიზებული დახმარების პროგრამების განვითარება მცირე ბიზნესისთვის, მათთვის სპეციალური რესურსების გამოყოფისა და სხვა შესაძლებლობების უზრუნველყოფის გზით. რომლიც წარმატებული მაგალითებიც გვაქვს: აწარმოე საქართველოსთვის; დანერგე მომავალი; „ახალგაზრდა მეწარმე"; შედავათები ტურიზმის სფეროში და ესე უნდა განვითარდეს გლობალურად/არა დარგობრივად მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

5. https://en.wikipedia.org/wiki/Small_and_medium-sized_enterprises

დასკვნა

შემაჯამებელი ანალიზით, მოვიცავით ბიზნესის არსი და მნიშვნელოვა, მისი ფუნქციები როგორც ეკონომიკური შემოქმედის, და უშუალო მონაწილის ეროვნული საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებაში.

ჩამოვაყალიბეთ ბიზნესის დარგები, რომელთა საერთო მიზანიც მოგების მიღება არის.

გამოვყავით ბიზნესის სახეობები, როგორ მიკრო, მცირე და საშუალო და მსხვილი ბიზნესები.

დეტალურად გავაანალიზეთ მცირე ბიზნესის როგორც უმსხვილესი სახეობის მნიშვნელობა და ფუნქციონალი დღევანდელ მსოფლიოში და საქართველოში.

მისი უპირატესობები, როგორც ყველაზე მობილური, ინოვაციური ჯგური, რომელიც ქმნის კონკურენციას ეკონომიკურ დარგებში, და რათქმაუნდა ეს ზემოქმედებს ჯანსაღ საბაზრო ეკონომიკაზე.

საქართველოში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის დაარსების გამარტივების სიახლეებზე, და არსებობისთვის და წახალისებითვის ჩასატარებელ ღონისძიებებზე ვისაუბრეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abrams R. The Owners's Manual for Small Business. The Planning Shop. Palo Alto. California.2005
2. Understanding growth priorities at small and medium-sized businesses. Economist intelligence Unit, 2009.
3. Doing Business 2011, Georgia, Making a difference for Entrepreneurs, The World Bank, 2011.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური(საქსტატი): http://www.geostat.ge
5. სს თიბისი ბანკი, https://www.businessaward.ge/

ANALYSIS OF SMALL AND MEDIUM BUSINESS AND ITS DEVELOPMENT PROMOTION POLICY IN GEORGIA

Tamar Rostiashvili
Teona Abuladze

Resume

Traditionally SME sector has significant impact on nations economic environment and is one of the major sources of employment.

It is generally accepted (in and outside Georgia) that SME segment is the key to countries economic development, especially in tackling two major challenges: unemployment and poverty.

SME sector was rapidly growing in EU countries starting form early 80's of XX century and by 2000 it accumulated 60-70% of employed and generated 65% of total EU GDP.

The experience of the European Union showed that small entrepreneurship contributes to the development of competitive environment, the increase in production volume, the expansion of goods and services and the quality of products.

SME sector comprises mainly form small sized private entities that require strategical development and guidance. Require highly qualified employees and possibility of ease of access to financial resources in order to fund their business needs.